## ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

240

**მისანიჭებელი კვალფიკაცია**

მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი

**სწავლების ენა**

ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია მასობრივი კომუნიკაციის არსის, ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ღირებულებების მცოდნე ფართო პროფილის (ბეჭდური, რადიო, ტელე, ონლაინ, ინტერნეტ) სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს თანამედროვეობის აქტუალური ფაქტების, მოვლენებისა და პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად გადაქცევას საერთაშორისო და საქართველოს ეთიკური, სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით შეფასებას და კომენტირებას.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბეჭდური, სამაუწყებლო და ახალი მედიისათვის მედიაპროდუქტის დაგეგმვის, მომზადების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**

**აქვს ფართო ცოდნა** ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენების გაშუქების, კომენტირება-ანალიზის, მედიის მარკეტინგული და სარეკლამო სტრატეგიის შემუშავების, მიზნობრივი დაგეგმარების მეთოდების შესახებ.

**აკავშირებს** მედიის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს რეალობის ობიექტური სურათის შექმნის მიზანთან.

**ამყარებს** ეფექტურ წერილობით და ვერბალურ კომუნიკაციას პროფესიული ჯგუფის, მასობრივი, ინტერ და ინტრაპერსონალური ურთიერთობების დონეზე.

**აგებს** მიზნობრივ ჟურნალისტურ ტექსტებს როგორც დამოუკიდებლად, ისე წყაროებისგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

**ქმნის** მედიაპროდუქციას ახალი (ციფრული ფოტო-აუდიო-ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკა) და მულტიმედიური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

**აკეთებს** ფაქტისა და მოვლენის ობიექტურ ინტერპრეტირებას და გამოაქვს ზოგადი და კონკრეტული დასკვნა მოძიებული ინფორმაციის კრიტიკულად დამუშავების შედეგად.

**ახორციელებს** კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

**განსაზღვრავს** საკუთარი სწავლის მიმართულებას ჟურნალისტური პროფესიული ოსტატობის სტანდარტების ცოდნის მნიშვნელობის გაცნობიერების საფუძველზე;

მაღალი ხარისხით **წარმართავს** პროფესიულ საქმიანობას სარწმუნოობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით და დემოკრატიულ და ჰუმანისტურ ღირებულებებზე დაყრდნობით.

| | |
|---|---|
| | **აცნობიერებს** ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. |
| | **შეფასების წესი** |
| | შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.<br>დადებითი შეფასებებია:<br>• (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;<br>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;<br>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;<br>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;<br>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.<br>უარყოფითი შეფასებებია:<br>• (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| **საკონტაქტო პირი (სახელი,გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)** | |
| ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge | |

| ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა | |
|---|---|
| საზოგადოებასთან ურთიერთობა | |
| | **პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)** |
| | **240(ECTS)** |
| | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** |
| | **საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრი** |
| | **სწავლების ენა** |
| | ქართული |
| | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** |
| | პროგრამის მიზანია შეასწავლოს სტუდენტს როგორც მომხმარებლის ქცევისა და მოთხოვნილებების თავისებურებები, ასევე ორგანიზაციებსა და ინდივიდებს შორის პროდუქციისა და მომსახურების გაცვლის პროცესების ხელშეწყობის ტექნოლოგიები;<br>შესძინოს სტუდენტს საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს, თეორიების, პრინციპების, სტრატეგიული საკომუნიკაციო გეგმების შესწავლას და კრიტიკულ გააზრებას;<br>გამოუმუშაოს სტუდენტს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში არსებული ამოცანების, ეფექტური კომუნიკაციის, პრობლემების გადაჭრის და დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები;<br>მოამზადოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მყარი საფუძველი. |
| | **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი** |
| | **აღწერს**<br>საზოგადოებასთან ურთიერთობის/სტატეგიული კომუნიკაციის ძირითად პრინციპებს და პროცესებს, PR სტრატეგიისა და ტაქტიკის, კვლევის, დაგეგმვისა და მართვის პროცესებს, PR-კამპანიების, ღონისძიებების მომზადების და ჩატარების უახლეს მეთოდებს, პრინციპებსა და ინსტრუმენტებს, როგორც ბიზნესის, ასევე პოლიტიკის, ტურიზმის და კულტურის სფეროებში, ძირითად ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ თეორიებს.<br>**განსაზღვრავს**<br>საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სფეროში არსებულ მიზნებს, ამოცანებს, განვითარების ტენდენციებსა და პერსპექტივებს, PR-ისა და მედიის ურთიერთმიმართების ფორმებს და მთავარ მიმართულებებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში კვლევის თავისებურებებსა და ეტაპებს.<br>**ხსნის**<br>განსხვავებას საზოგადოებასთან ურთიერთობას, ბრენდინგს, მარკეტინგს, სტრატეგიულ კომუნიკაციებსა (PR) და რეკლამას შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს, ასევე მათი გამოყენების თანმიმდევრობას და პროცესების მართვის კურსს, PR - ღონისძიებების წარმართვის შესაძლებლობებს; ფილოსოფიის, ზოგადი ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის ზოგად პრინციპებს. |

| | |
|---|---|
| | **განასხვავებს**<br>PR - ღონისძიებების ფორმებს და ტიპოლოგიურ თავისებურებებს, სტრატეგიული სქემების ჩამოყალიბების თეორიულ და პრაქტიკულ შესაძლებლობებს, ტაქტიკური ნაბიჯების შემუშავების ტექნოლოგიურ თავისებურებებს, კონკრეტული ღონისძიებების განსხორციელების ეფექტიან და ნაკლებ ეფექტიან შესაძლებლობებს.<br>**აანალიზებს**<br>საზოგადოებასთან ურთიერთობების არსს, მიზნებსა და ამოცანებს, პიარ კამპანიების, სარეკლამო კამპანიების დაგეგმვისა და განხორციელების თავისებურებებს, საზოგადოებაზე რეკლამის ფსიქოლოგიური ზეგავლენის თავისებურებებს, PR-კომუნიკაციის მნიშვნელოვან პროცესებს და მათი წარმართვის აუცილებლობას.<br>**გეგმავს**<br>PR - აქციებს, PR - კამპანიებსა და ღონისძიებებს, სხვადასხვა სფეროში საჭირო ეფექტურ საკომუნიკაციო საქმიანობას და ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბების საშუალებებს, მარკეტინგულ, სარეკლამო, საკომუნიკაციო და საპრომოციო კამპანიებს, პრიორიტეტულ მედია არხებთან ურთიერთობას, PR ღონისძიების შინაარსობრივ და ვიზუალურ მხარეს, მიღებული ცოდნის გაღრმავებისა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.<br>**ამზადებს**<br>პიარის, მარკეტინგის, რეკლამის საკომუნიკაციო სტრატეგიას სამიზნე აუდიტორიებამდე საკვანძო საინფორმაციო გზავნილების მიწოდების მიზნით, მაღალ პროფესიულ დონეზე გააზრებულ პრეზენტაციებსა და ზეპირ გამოსვლებს უმნიშვნელოვანეს პროფესიულ საკითხებზე.<br><br>**იყენებს**<br>აუდიტორიასთან სათანადო კონტაქტის დამყარებისა და ზემოქმედების ტექნოლოგიებს, გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე სტრატეგიებს; უცხოური ენის სასწავლო კურსით გათვალისწინებული დონის საფეხურის შესატყვის ლექსიკურ მარაგსა და სინტაქსურ სტრუქტურებს, ენის ოთხივე კომპონენტს: წერით კომპეტენციას, წაკითხულის სწორად გაგებას, სმენით აღქმას და მეტყველების წარმართვა–გაგებას. |
| | **შეფასების წესი** |
| | შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.<br><br>დადებითი შეფასებებია:<br>• (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;<br>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;<br>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;<br>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;<br>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.<br><br>უარყოფითი შეფასებებია: |

| | |
|---|---|
| | • **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>• **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| **საკონტაქტო პირი (სახელი,გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)** | |
| ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge | |

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა**

ეკონომიკა

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

240

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

ეკონომიკის ბაკალავრი

**სწავლების ენა**

ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა ეკონომიკის არსისა და მიღწევების, ეკონომიკური თეორიებისა და საბაზისო ეკონომიკური მოდელების, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების პრობლემური საკითხების, კანონზომიერებების, თავისებურებებისა და ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესახებ;

ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ფლობენ მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზისა და მიღებული შედეგების კრიტიკული გააზრების უნარს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**

**აღწერს** ეკონომიკური თეორიისა და საბაზისო ეკონომიკური მოდელების არსს, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზნებსა და ამოცანებს, ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილების ისტორიულ ეტაპებს, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების კანონზომიერებებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე;

**განმარტავს** ეკონომიკის ძირითად ცნებებს, დებულებებსა და კონცეფციებს, ეკონომიკური პროცესების განვითარების კანონზომიერებებს;

მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად **იყენებს** ეკონომიკური ანალიზის ადექვატურ მეთოდებს, მათ შორის სტატისტიკური და ეკონომეტრიკული ანალიზის მეთოდებს, ასევე საბაზისო ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებს;

**ახდენს** ეკონომიკის ძირითადი საკითხების განსაზღვრას; ეკონომიკური პროცესების და პრობლემების იდენტიფიცირებას; კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელებას ეკონომიკის სფეროში - წინასწარ განსაზღვრული მითითებების, ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

**აანალიზებს** ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, ეკონომიკური პრობლემების გამომწვევ მიზეზებს, მათი პრევენცია-აღმოფხვრის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ცალკეულ ეკონომიკურ მოვლენებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პირობებსა და ფაქტორებს, საგადასახადო სისტემების ეფექტიანობას, სამეწარმეო საქმიანობის თავისებურებებს;

<table>
<tr><td></td><td>არგუმენტირებულად აყალიბებს დასკვნებს ეკონომიკური თეორიის ძირითადი კანონზომიერებების, საბაზრო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობების, მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და მოსალოდნელი შედეგების, ეკონომიკური პროცესების მართვის თავისებურებების, ეკონომიკის სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების, საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრობლემების, სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტების, ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ეფექტიანობის შესახებ.<br>ამზადებს პრეზენტაციას და მონაწილეობს ეკონომიკური იდეების, ეკონომიკაში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, თემატურ დისკუსიებში.<br>ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებას.</td></tr>
<tr><td></td><td>შეფასების წესი</td></tr>
<tr><td></td><td>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.<br>დადებითი შეფასებებია:<br>• (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;<br>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;<br>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;<br>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;<br>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.<br>უარყოფითი შეფასებებია:<br>• (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>• (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.</td></tr>
<tr><td colspan="2">საკონტაქტო პირი (სახელი,გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</td></tr>
<tr><td colspan="2">ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge</td></tr>
</table>

| ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა | |
|---|---|
| არქეოლოგია | |
| | **პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)** |
| | **240** |
| | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** |
| | არქეოლოგიის ბაკალავრი |
| | **სწავლების ენა** |
| | ქართული |
| | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** |
| | პროგრამის მიზანია მოამზადოს ძველი კულტურებისა და ცივილიზაციების შემსწავლელი დარგის თეორიული, საველე სამუშაოების წარმართვის, არქეოლოგიური მასალის დამუშავებისა და ტექნიკური ანალიზის ტექნოლოგიების პრინციპების, კულტურული მემკვიდრეობის მართვის, დაცვის, კონსერვაციის და რესტავრაციის - აღიარებული პრიორიტეტების და პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნით აღჭურვილი პრაქტიკოსი სპეციალისტი. |
| | **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი** |
| | **აცნობიერებს** არქეოლოგიის მნიშვნელობას კაცობრიობის წარსულის შესწავლისა და ისტორიული პროცესების გააზრებისთვის, განიხილავს მას სხვადასხვა (ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ბიოლოგიური, ქრონოლოგიური) პერსპექტივიდან;<br>**ავლენს** ფართო ცოდნას არქეოლოგიის დარგის განვითარების ძირითადი ეტაპების, არქეოლოგიის დარგობრივი ტერმინოლოგიის, თეორიების, მიდგომების, მეთოდების, არქეოლოგიური ძეგლების, არტეფაქტების პერიოდიზაციისა და დათარიღების პრინციპების შესახებ.<br>არქეოლოგიურ მონაცემების მოპოვებისას **იყენებს** დარგისთვის სპეციფიკურ უნარებს (საკვლევი ობიექტის მოძიების, ჩაწერის/ჩახატვის, საველე მუშაობის, საველე ჩანაწერების გაკეთების, გათხრების წარმოების, მოპოვებული მასალების გაზომვის, ანალიზის, ზოგიერთი არქეომეტრიული მეთოდების გამოყენების, ინტერპრეტირებისა და დაარქივების) წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;<br>**განიხილავს** არქეოლოგიური აღმოჩენების ან/და არტეფაქტების შესახებ ტრადიციულ მოსაზრებებს, ახდენს სხვადასხვა არქეოლოგიური მასალის ფორმისა და შინაარსის/მონაცემების ინტერპრეტაციასა და ანალიზს;<br>საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების საშუალებით **მოიძიებს** რელევანტურ აკადემიურ წყაროებს, აგროვებს მონაცემებს და აანალიზებს მათ, ლოგიკური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების მისაღებად<br>სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.<br>სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას ეფექტიანად **იყენებს** ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.<br>ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობისას **ეფუძნება** გუნდურობის, დროის ეფექტიანი მართვის პრინციპებს; |

| | |
|---|---|
| | არქეოლოგიური ინფორმაციის/მასალის/მონაცემების აღწერისას და ინტერპრეტაციისას **იცავს** მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;<br>**აცნობიერებს** ცალკეული არქეოლოგიური კულტურებისა და ცივილიზაციების შესახებ არსებულ განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებსა და შეხედულებებს - როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს. |
| | **შეფასების წესი** |
| | შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.<br>დადებითი შეფასებებია:<br>• **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;<br>• **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;<br>• **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;<br>• **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;<br>• **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.<br>უარყოფითი შეფასებებია:<br>• **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>• **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>**FX**-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. |
| **საკონტაქტო პირი (სახელი,გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)** | |
| ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge | |

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა**

ევროპისმცოდნეობა

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

**240**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი.

**სწავლების ენა**

ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს:** ცოდნა ევროპის წამყვანი ქვეყნების ისტორიის, იდეების, კულტურის, ეკონომიკის, სამართლის, ინსტუტუციური, მმართველობის სისტემის, სოციალური პროცესებისა და სხვა სფეროების შესახებ მსოფლიო-ისტორიული პროცესების კონტექსტში.

- ფართო თეორიული ცოდნა ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის იდეებზე, კონცეფციებზე, პროცესებზე, რეგიონულ და ადგილობრივ მიდგომებზე;
- კომპლექსური ცოდნა და სპეციალური მომზადება ევროპის წამყვანი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, სამართლებრივ სისტემებსა და პროცედურებზე, მათი თეორიული საფუძვლების განვითარებაზე, ეროვნული და ურთიერთანამშრომლობის პოლიტიკაზე, ევროკავშირის განვითარებისა და ინტეგრაციის კომპლექსურ პროცესებზე, ევროპული იდენტობისა და ევროპული მოქალაქეობის მნიშვნელობაზე, ინსტიტუციებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების პოლიტიკაზე, პოლიტიკური კულტურის თავისებურებებზე, პოლიტიკური პროცესის სპეციფიკაზე.

**ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს:**

- ევროპის ქვეყნებში მიმდინარე სხვადასხვა ახალი პროცესებისადმი ყურადღების მიდევნების, რელევანტურობის აღქმისა და ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი.
- ევროკავშირის ინსტიტუციური პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პრობლემების შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და ევროპული ინტეგრაციის ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;

ევროინტეგრაციის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის კულტურა.

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

ევროპული ინტეგრაციის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს ევროკავშირის ქვეყნების ისტორიის, ფასეულობების, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების, ეკონომიკის, სამართლის, წამყვანი ინსტიტუტების მუშაობის სპეციფიკის, მმართველობის, გლობალიზაციის

პირობებში ევროკავშირის განვითარების ტენდენციების აუცილებელი უნარების გამომუშავებას და შესაბამისად პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას;
ევროპისმცოდნეობის სფეროს ფართო თეორიული ცოდნა;
ევროკავშირის ცნებების, სტრუქტურის, ელემენტებისა და ტერმინოლოგიის ცოდნა;
ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების, კონსტიტუციური წყობის, პოლიტიკური რეჟიმების ხასიათის, ხელისუფლების ყველა შტოს ფუნქციონირების, ცენტრისა და რეგიონის აგებულების კომპლექსური ცოდნა;
ევროპის წამყვანი ქვეყნების საშინაო და საგარეო, ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების ანალიზის მეთოდების ცოდნა;
მსოფლიო პოლიტიკასა და კულტურაში ევროპის წამყვანი ქვეყნების ადგილისა და როლის გაცნობიერება;
ევროპის წამყვანი ქვეყნების ეროვნული ინტერესების, პრიორიტეტების, დოქტრინების, საგარეო პოლიტიკის მექანიზმების, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საშინაო ფაქტორებთან მათი ურთიერთკავშირის ცოდნა;
სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემებისა და პროცესების  დადგენის უნარი.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**:
მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული  ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება  ევროპისმცოდნეობის სფეროში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად;
თანამედროვე გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის საფუძველზე ევროკავშირის პოლიტიკის კრიტიკულად აღქმა და  გააზრება;
საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების სფეროში ევროკავშირთან ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკის ადგილობრივ ჩარჩოში ინტერპრეტირება.
ევროკავშირის ქვეყნების კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტების კომენტირება და ანოტირება;
ევროპული მოვლენების,  ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების პროცესების დადგენის უნარი;
ევროინტეგრაციის იდეებისა და კონცეფციების განვითარებაში მონაწილეობის მიღება;
ევროპული ინტეგრაციის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე ევროპული ფასეულობების საქართველოს რეალობასთან  მისადაგებისა და დანერგვის უნარი.

**დასკვნის  უნარი:**
მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, სიტუაციათა შედარება, სტანდარტული მეთოდებით მათი გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
ევროპის წამყვანი ქვეყნების განვითარებისა და ინტეგრაციის პროცესებზე ახალი ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარი;
სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით  ევროკავშირის ინსტიტუტების გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკაზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

**კომუნიკაციის უნარი**:

საკუთარი აზრისა და მიღებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის;
ყველა დაკავშირებულ სფეროში მიზნების მისაღწევად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
დარგობრივი სფეროს შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
პრეზენტაციებისა ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი;
სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი.

**სწავლის უნარი**:
სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით;
ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა;
ევროპისმცოდნეობის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიება, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
საინფორმაციო და საგნმანათლებლო ტექნოლოგიების საფუძველზე თვითსწავლის განვითარების უნარი.

**ღირებულებები**:
ევროპისმცოდნეობის სფეროს პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისათვის გაზიარება;
საჯაროდ და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამოქალაქო და საზოგადოებრივი ეთიკური ნორმების, პრინციპებისა და ფასეულობების გააზრება, აღიარება, დაცვა და პატივისცემა;
ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და საერთოევროპული ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

**შეფასების წესი**

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

| | |
|---|---|
| | • **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>**(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| **საკონტაქტო პირი (სახელი,გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)** | |
| ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge | |

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა**

ჟურნალისტიკა

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

240

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში

სწავლების ენა

რუსული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

მედიაკულტურის მქონე პრაქტიკოსი სპეციალისტის მომზადება;
მედიაკულტურის ელემენტებისა და ღირებულებების სწავლება სოციალურ სივრცეში, საზოგადოების ნორმატიული ორიენტირების მხარდაჭერისა და ტრანსლირების, მმართველობითი გადაწყვეტილებების კონტროლისა და სოციალურ ურთიერთობათა დარეგულირების პროცესებში მონაწილეობისათვის;
თანამედროვე პროფესიული სტანდარტებით ინფორმაციის წარმოების, გავრცელების, მედია მონიტორინგის საერთაშორისო მეთოდებისა და ტექნოლოგიების სწავლება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- გააცნობიერებს ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ცნებებს;
- შეექმნება პირველადი წარმოდგენა და გააცნობიერებს პროფესიული მონოლოგური მეტყველების ძირითად კანონზომიერებებს წერითი და ზეპირმეტყველების მრავალსახეობაში.
- სტუდენტი გააცნობიერებს ინფორმატიკასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მიღებული ცოდნის, როგორც საერთო მეთოდოლოგიური და ინსტრუმენტული საშუალებების, როლსა და ადგილს შემდგომ საქმიანობაში. შეისწავლის ინფორმაციისა და ინფორმაციული პროცესების ცნებებს, ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების პრინციპებს, თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.
- უნდა იცოდეს თანამედროვე რეალობაში კომუნიკაციის ძირითადი თავისებურებები, თეორიები და ხერხები;
- იცოდეს და გააცნობიეროს კურსის ძირითადი კატეგორიები, თანამედროვე გამოცემებისა და პროგრამების ტიპოლოგიური მრავალფეროვნება, ჟურნალისტიკის სხვა სოციალური ინსტიტუტებთან ურთიერთქმედების საფუძვლები;
- იცოდეს შემოქმედებითი პროცესის ჟანრული ტექნოლოგიები, ფლობდეს ტექსტის შედგენის უნარს, ჰქონდეს მასალების ანალიზისა და შეფასების უნარი;
- შეიძინოს აბსტრაქტული აზროვნებისა და სინთეზის უნარი;

- იცოდეს და გააცნობიეროს დასავლეთის ჟურნალისტიკის განვითარების გზების თავისებურებები, ტიპოლოგიური მსგავსება და განსხვავება ევროპულ და ამერიკულ ჟურნალისტურ პრაქტიკებს შორის;
- სამეცნიერო ანალიზის მეთოდების ცოდნა, კულტურის კონცეფციის ძირითადი გაცნობიერება;
- გაზეთის, რადიოსა და ტელემაუწყებლობის ტექნოლოგიური ბაზის თავისებურებების ცოდნა და გაცნობიერება კომპიუტერულ-ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკუნეში;
- რეკლამის სათავეების, მისი ფუნქციების, სახეებისა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში წარმოდგენის თავისებურებების ცოდნა და გათავისება;
- ლიტერატურული ნორმების, თანამედროვე ჟურნალისტიკის სტილისტური თავისებურებების, ხელნაწერის სტილისტური და ესთეტიკური მხარეების რედაქტორული შეფასების კრიტერიუმების ცოდნა;
- თანამედროვე ფოტო და ვიდეო ტექნოლოგიების ცოდნა და აუდიოვიზუალურ სფეროში მათი კომპლექსური გამოყენების აუცილებლობის გაცნობიერება;
- იცოდეს ჟურნალისტის უფლებები და მოვალეობები, საქართველოს კონსტიტუცია, სამართლე ბრივი ნორმები;
- იცოდეს სატელეიზიო ჟურნალისტის საქმიანობის სპეციფიკა;
- თანამედროვე ჟურნალისტის პროფესიული უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები; ესმოდეს ჟურნალისტური შემოქმედების კოლექტიური ბუნება; ჟურნალისტური ნაწარმოების სტრუქტურის ელემენტები.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

- პრაქტიკაში გამოიყენებს მიღებულ ცოდნას სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ჟურნალისტური ტექსტების შექმნის დროს.
- შეძლებს კომპიუტერული სისტემის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ძირითადი მახასიათებლების შერჩევასა და შეფასებას, კომპიუტერის ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფას, კომპიუტერთან თავისუფალ „დიალოგს", ტექსტური, ცხრილური და საპრეზენტაციო დოკუმენტაციის მომზადებას, საერთაშორისო კომპიუტერულ ქსელ Internet-ში მუშაობას.
- შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას შემდგომ სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში;
- შეძლებს პროფესიულ საქმიანობაში საქართველოს საშინაო და საგარეო პრიორიტეტების განსაზღვრისას ქვეყნის მრავალათასწლოვანი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება- გამოყენებას.
- მიღებული ცოდნის გამოყენების უნარი პოლიტიკური პროცესების გასაანალიზებლად
- უნდა შეეძლოს ანალიტიკური ჟანრების შესწავლისას მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, თემის შემუშავების საკითხებში ორიენტირება.

- უნდა ესმოდეს ჟურნალისტური პროფესიის, როგორც სოციალური, ინფორმაციული, შემოქმედებითი, მისი საბაზო მახასიათებლების, ჟურნალისტის სოციალური როლების, პიროვნული მახასიათებლების არსი, რომლებიც აუცილებელია პროფესიონალური ფუნქციების პასუხისმგებლობით შესრულებისას; ასევე ჟურნალისტური საქმიანობის მრავალასპექტურობა, რომელიც მოიცავს საკუთარი პუბლიკაციების მომზადებას და მასმედიის ტექსტების შექმნისას სხვა მონაწილეებთან მუშაობას (ავტორები, აუდიტორია და ა.შ.); ინდივიდუალურ და კოლექტიურ საქმიანობას; ტექსტზე და ტექსტის მიღმა მუშაობას (საპროექტო, საპროდუსერო, ორგანიზატორული). უნდა შეეძლოს ინფორმაციის წყაროსთან მუშაობა და ფლობდეს ინფორმაციის მოპოვების მეთოდებს (ინტერვიუ, დაკვირვება, დოკუმენტებთან მუშაობა), სელექციის, შემოწმებისა და ანალიზის, აგრეთვე პრეცეზიული (ზუსტი) ჟურნალისტიკის მეთოდებს.

**დასკვნის უნარი**

- დასკვნების გაკეთების უნარის გამომუშავება და ლოგიკურ-აზროვნებითი სილოგიზმების გაფორმება ლოგიკური სინთეზის შემგომი მიღებით;
- შეიძენს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის შერჩევისა და ანალიზის უნარს;
- ჟურნალისტიკის ტიპოლოგიური თავისებურებების, ჟურნალისტიკის შემდგომი განვითარების გზების თავისებურებების შესახებ დასკვნების გამოტანის უნარი;
- კულტურული ფენომენის, კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების და საინფორმაციო საზოგადოების პრაქტიკის წარმოდგენის უნარი, თანამედროვე მედიის თეორიებზე მუშაობის უნარი.
- ცოდნა და უნარი გამოიყენოს სხვა და სხვა პროგრამული საშუალებები და მონაცემთა ბაზები,
  კომპიუტერულ ქსელში ინფორმაციასთან მუშაობის პროცესში;
- სარეკლამო ტექსტების, რეციპიენტთა ტიპების და მათი მოთხოვნილებების, სარეკლამო
  სლოგანების რეციპიენტის ცნობიერებაზე გავლენის მოხდენის შესახებ დასკვნების გამოტანის
  უნარი.
- ორატორულ ხელოვნებაში გამოსაყენებლად განკუთვნილი უცხოენოვანი ზეპირი და წერილობითი პუბლიცისტური, საქმიანი, სამეცნიერო ტექსტების წარმოების მეთოდის ფლობა.
- სატელევიზიო პუბლიცისტიკის ჟანრული თავისებურებებში ორიენტირების უნარი;
- შეეძლოს ჟურნალისტური პროდუქტის შექმნის მეთოდის, ხატოვანი კომპონენტების, ფაქტების გადმოცემის, კომპოზიციური თავისებურებების შეფასება.
- დასკვნის გაკეთების უნარი თანამედროვე ჟურნალისტური პრაქტიკის თანახმად.

| | |
|---|---|
| | **კომუნიკაციის უნარი:**<br>• შეძლოს გამართულად ააგოს დიალოგური/მონოლოგური მოსაზრებები სიტუაციური კომპონენტების შესაბამისად.<br>• შეისწავლის საერთაშორისო კომპიუტერულ ქსელ Internet-თან მუშაობის ძირითად პრინციპებს და Ms Office საოფისე პროგრამათა პაკეტში შემავალ პროგრამებსლშეიძენს საქმიანი კომუნიკაციის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენების უნარ-ჩვევებს;<br>• თანამედროვე საზოგადოებაში კომუნიკაციის ფუნქციების, თეორიების, წესებისა და ხერხების ცოდნას;<br>• უნდა მოახდინოს ინდივიდუალური და პროფესიული პრინციპების პრაქტიკულ საქმიანობაში რეალიზება, შეეძლოს ოპტიმალურად ზუსტად და სრულად მიიტანოს აუდიტორიამდე ინფორმაცია რეალური სინამდვილის შესახებ.<br>• შეეძლოს საკუთარი კონცეფციის არგუმენტირება;<br>• ჩამოუყალიბდეს კოლექტივთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან, სუბკულტურებთან ურთიერთობის უნარი, PR საქმიანობის მრავალკულტურულ ჯგუფებში განხორციელების უნარი;<br>• იყოს კომპეტენტური კომუნიკაციის უნარის საკითხებში;<br>• კითხვის, გაგების და მეტყველების ელემენტარული დონის უზრუნველყოფა, რომელიც გათვალისწინებულია უცხო ენების დონეებრივი შესწავლის საერთაშორისო სტანდარტებით.<br>• თანამედროვე ჟურნსლისტიკის ლექსიკის ფლობა;<br>• პატივს სცემს დამოუკიდებლად მუშაობის სურვილს, კარგად შეუძლია, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, აუდიოვიზუალური ფორმით კომუნიკაცია. შეუძლია კომუნიკაცია ინფორმაციის ოფიციალურ და ღია წყაროებთან; კომპიუტერული ვიდეომონტაჟის ტექნოლოგიების გამოყენებით მედიაპროექტის მომზადება და ზეპირი და წერილობითი პრეზენტაცია, როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის. პატივს სცემს კონფიდენციალურობის დაცვის საჭიროებას, შეუძლია კარგი ურთიერთობის დამყარება ნებისმიერი შესაძლებლობების მქონე სტუდენტებთან, შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო მეთოდებს.<br><br>**სწავლის უნარი:**<br>• ვერბალური უნარის სრულყოფა, წიგნზე მუშაობის უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.<br>• დამოუკიდებლად აწარმოოს ინფორმაციის მიღება ინგლისურ ენაზე და შემდგომი ლექსიკურ-გრამატიკული ანალიზის მეშვეობით შეიძინოს და განამტკიცოს შესაბამისი ახალი მასალა.<br>• მოხდეს სტუდენტების ცოდნის გააქტიურება და ხელი შეუწყოს მათ გამოიმუშაონ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; დაეხმაროს სტუდენტებს დამოუკიდებლად |

შეისწავლოს კონკრეტული კურსი, სრულყონ იდეურ-ესთეტიური და პროფესიური კრიტერიუმები.

- დაეუფლოს მოყვანილი ფაქტების პირდაპირი ან ლატენტური შეფასებების შესაძლებლობას
- შეიძენს ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების უნარს.
- შეეძლოს ჟურნალისტური ნაწარმოების ანალიზი; გამოიყენოს ტექსტის პროფესიული ანალიზის უნარი ჟურნალისტური ოსტატობის სრულყოფის მიზნით; ჟურნალისტური პუბლიკაციების მომზადების დროს ორიენტირებული იყოს ჟურნალისტიკის თეორეტიკოსების გამოცდილებაზე. ფლობდეს პროფესიული ჟურნალისტური საქმიანობის ძირითად მეთოდებსა და ხერხებს, ჰქონდეს თანამედროვე პერიოდიკის ტექსტების ანალიზის უნარი.
- დამოუკიდებლად შეეძინოს ახალი ცოდნა და უნარი, ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით;
- მიიღოს მთლიანი წარმოდგენა რუსეთის და საერთაშორისო მოქმედ მარეგულირებელი კანონმდებლობის შინაარსზე და ხასიათზე სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში
- სამეცნიერო სტატიის წერის უნარი თანამედროვე ბეჭდური საშუალებების დახმარებით. მოხსენების მომზადების უნარი.
- აფასებს ტელე-რადიო ხელოვნების სფეროში კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნის გაღრმავების აუცილებლობას, სწავლის გაგრძელებასა და მუდმივ განახლებას. პროფესიული საქმიანობისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიების მნიშვნელობის გათვალისწინებით პროგნოზირებს საკუთარი სწავლის მიმართულებას.

**ღირებულებები**

- საკუთარი ისტორიისა და კულტურის გათავისება, ეროვნული თვითშეგნებისა და ღირებულებების შენარჩუნება. მსოფლიო ისტორიული მემკვიდრეობის ცოდნა, სხვათა ისტორიის, კულტურისა და განსხვავებული აზრის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება.
- მიღებული ცოდნის მნიშვნელოვნების აღქმა იმგვარი გლობალური ღირებულებების ნეიტრალური გაცნობიერებისათვის, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია და ა.შ.
- ახალი იდეების გაჩენის უნარი, უნარი გააცნობიეროს საგნობრივი სფეროს ძირითადი პრობლემები, შეეძლოს ორიენტირება ამოცანების დასახვისა და მათი გადაჭრის გზებში; კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.
- ჟურნალისტიკის ღირებულებების გაცნობიერება: სიტყვის თავისუფლების, ბეჭდვის თავისუფლების, პრესის თავისუფლების, ამ ღირებულებების დაცვის

| | |
|---|---|
| | უნარი; სრულყოფის მიზნით ჟურნალისტური ღირებულებების საჯარო რეპროდუცირების უნარი;<br>• თანამედროვე საზოგადოებაში PR-ტექნოლოგიების მნიშვნელობისა და რო;ის გაცნობიერება, სოციუმში;<br>• კულტურათასორისი კომუნაციის პრობლემურ დარგში ტოლერანტულობის უნარი;<br>• კულტუროლოგიური ცოდნის მნიშვნელობის გაგების უნარი თანამედროვე სამყაროში;<br>• საკუთარი პროფესიული საქმიანობის სრულყოფის, შემდგომი პროფესიული ზრდისათვის ჟურნალისტიკის სოციოლოგიის მნიშვნელობის გაცნობიერება.<br>• სოციალური ურთიერთქმედებისათვის მზაობა საზოგადოებაში მიღებული მორალური და სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, ხალხის პატივისცემა, პროფესიულ საქმიანობაში მორალურ-სამართლებრივი ნორმებით ხელმძღვანელობის უნარი.<br>• შეძლებს გაიცნობიეროს დაფიქსირებული ფიზიკური რეალობის ფასეულობა<br>• თავისი სამუშაოს ეფექტურობის ანალიზის და შეფასების უნარი, მისი ძლიერი და სუსტი მხარების<br>• გააუმჯობესოს და განავითარონ თავიანთი ინტელექტუალური და კულტურული დონის უნარი, მათი სოციალური და პროფესიული გამოცდილების გაუმჯობესების უნარი<br>• საქართველოსა და, ზოგადად, პლანეტარულ ეკოლოგიურ ღირებულებებთან თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება. |
| | შეფასების წესი |
| | შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.<br>დადებითი შეფასებებია:<br>• **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;<br>• **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;<br>• **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;<br>• **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;<br>• **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.<br>უარყოფითი შეფასებებია:<br>• **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>**(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| საკონტაქტო პირი (სახელი,გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი) | |
| ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge | |

| მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა | |
|---|---|
| მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა | |
| | **პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)** |
| | 180 |
| | **მისანიჭებელი კვალფიკაცია** |
| | მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი |
| | **სწავლების ენა** |
| | ქართული |
| | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** |
| | მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროში შემოქმედებითი ხედვისა და ანალიტიკური აზროვნების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ლოკალურ და გლობალურ საინფორმაციო სივრცეში მომხდარი, მიმდინარე თუ მოსალოდნელი ფაქტების, მოვლენებისა და აქტუალური საკითხების გაშუქებას, გაანალიზებას, კომენტირებასა და პროგნოზირებას შესაბამისი მეთოდების დახმარებით;<br>მაგისტრანტისთვის თანამედროვე მედიის განვითარებისა და ტრანსფორმაციის ახალი და უახლესი ტენდენციების, საერთაშორისო პლატფორმებთან, კონტენტის ბირჟებთან დაკავშირებისა და ინოვაციური მასალების შეთავაზების სწავლება;<br>ციფრული მედიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაგისტრანტისთვის თანამედროვე მედიის აქტუალური მიმართულებების სისტემური ცოდნის მიცემა, რომლითაც შეძლებს მედიის მართვას, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას, მედიის ტრენდული პრობლემების კრეატიულად და დამოუკიდებლად გადაწყვეტას. |
| | **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი** |
| | ღრმა და სისტემური ცოდნის საშუალებით, **განსაზღვრავს** ადგილობრივ და საერთაშორისო მედია სისტემებსა და პლატფორმებზე შემოქმედებითი და ანალიტიკური ხასიათის ჟურნალისტური კონტენტის განთავსების შესაძლებლობას; მასკომუნიკაციაში არსებულ კონკრეტულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს ჟურნალისტური ტექსტისა და მულტიმედიური ტექსტების საშუალებით.<br>**აყალიბებს** კრიზისულ მედიაგარემოში რისკფაქტორებს; მედიასივრცეში ინტერნეტტექნოლოგიების უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების გზებს.<br>არგუმენტირებულად **ასაბუთებს** მიღებულ გადაწყვეტილებას და მასალის რაკურსის მართებულებას;<br>კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გამოაქვს საჭირო დასკვნები, უახლესი მონაცემების საფუძველზე **წარმოაჩენს** მნიშვნელოვან ინფორმაციას და ისე აწვდის საზოგადოებას.<br>კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ჟურნალისტურ საქმიანობას **ახორციელებს** წინასწარ განსაზღვრული მითითებებისა და მოთხოვნათა შესაბამისად. |

**იაზრებს** საკუთარ შემოქმედებით პროდუქციაზე პასუხისმგებლობას, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან და იცავს ჟურნალისტურ ეთიკას როგორც ჩვეულებრივ, ისე მულტიმედიურ ფორმატში.
**გეგმავს** შემდგომში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის საჭიროებას. სწავლის პროცესის თავისებურებების, ახალი გამოწვევების მაღალ დონეზე გაცნობიერებას და შემდგომში შესაბამისად სწავლის სტრატეგიის დაგეგმვას გლობალურ მედიაგარემოში.
**იზიარებს** საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს, კანონის უზენაესობის პრინციპს, ადამიანის უფლებებს და დემოკრატიულ ფასეულობებს.

**შეფასების წესი**

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს.
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი შეგიძლიათ იხილოთ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php
შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმების და სკალების აღწერა მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

**საკონტაქტო პირი (სახელი,გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)**

ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge

| მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |
| --- |
| ეკონომიკა |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)** |
| **120** |
| **მისანიჭებელი კვალფიკაცია** |
| ეკონომიკის მაგისტრი |
| **სწავლების ენა** |
| ქართული |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** |
| პროგრამის მიზანია სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებით აღსავსე, ინოვაციებზე დამყარებული თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის განმახორციელებელი, დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარების მქონე, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური ეკონომიკის მაგისტრების მომზადება, რომელთაც ექნებათ: მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, თანამედროვე ეკონომიკური თეორიების, ეთიკური ეკონომიკის, ცოდნის ეკონომიკის, ეკონომეტრიკის, მენეჯერული ეკონომიქსის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, საერთაშორისო ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა და შეძლებენ ორიგინალური თეორიული და ეფექტიანი პრაქტიკული იდეების შემუშავება-განვითარებას, უცნობ ან მულტიდისციპლინარულ გარემოში წარმატებულ საქმიანობას. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი** |
| **განიხილავს** ეკონომიკის თეორიის განვითარების კანონზომიერებებს, ეკონომიკურ პრობლემებს მიკრო-მაკრო დონეზე, მათ გამომწვევ მიზეზებს, ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს;<br>მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, თანამედროვე ეკონომიკური თეორიების, ეთიკური ეკონომიკის, ეკონომეტრიკის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, საერთაშორისო ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე **კრიტიკულად აანალიზებს** მულტიდისციპლინარულ გარემოში წამოჭრილ პრობლემებს;<br>**განსაზღვრავს** უახლეს ცოდნაზე დამყარებული კვლევების როლს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში;<br>**შეიმუშავებს** ინოვაციურ, ახალ, ორიგინალურ იდეებს;<br>**ადგენს** კავშირს თეორიას, კვლევასა და პრაქტიკას შორის;<br>კვლევის მეთოდების და ეკონომეტრიკის ცოდნას **იყენებს** საზოგადოებისთვის აქტუალური ეკონომიკური საკითხების შესწავლისათვის;<br>უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, **დამოუკიდებლად ახორციელებს** კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, პროექტების (რეფერატების) და სამაგისტრო ნაშრომის შესაქმნელად;<br>საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს **წარადგენს**, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; |

| |
|---|
| **დამოუკიდებლად წარმართავს** საკუთარი სწავლის პროცესს არსებული ცოდნის გაღრმავების დაგეგმვის გზით, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში. |
| **შეფასების წესი** |
| შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.<br>დადებითი შეფასებებია:<br>• (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;<br>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;<br>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;<br>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;<br>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.<br>უარყოფითი შეფასებებია:<br>• (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| **საკონტაქტო პირი (სახელი,გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)** |
| ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge |

| მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა | |
|---|---|
| საზოგადოებასთან ურთიერთობა | |
| | **პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)** |
| | 120 |
| | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** |
| | საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი |
| | **სწავლების ენა** |
| | ქართული |
| | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** |
| | საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სფეროს ძირითადი თეორიებისა და მეთოდების, პიარ ღონისძიებების, პიარ კამპანიების დაგეგმვა - განხორციელების სტრატეგიული და ტაქტიკური თავისებურებების, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და ანალიზის ღრმა, სისტემური ცოდნა; მაგისტრანტების საზოგადოებრივი, აკადემიური თვითგანვითარებისა და თვითრეალიზების ხელშეწყობა. |
| | **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი** |
| | **განსაზღვრავს**<br>საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს ფუნდამენტურ საკითხებს, პიარ ღონისძიებების, პიარ კამპანიების ჩატარების სტრატეგიულ და ტაქტიკურ თავისებურებებს; პიარ აქციების, პიარ კამპანიების ეფექტიანი წარმოების უზრუნველსაყოფად საჭირო, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობას და საზოგადოებრივი აზრის კვლევის განხორციელების აუცილებლობას, საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით ხარისხიანი მედიის პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს, სოციალური პროცესების წარმოქმნისა და განვითარების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, განწყობის ფენომენის მოქმედების დიაპაზონს საზოგადოებასთან ურთიერთობაში.<br>**აანალიზებს**<br>ქეისებს, კრიზისულ სიტუაციებს, პროფესიული საქმიანობის პროცესში წამოჭრილ პრობლემურ საკითხებს; ვერბალური, არავერბალური, კულტურათაშორისი, ინტერპერსონალური და სხვა საკომუნიკაციო მეთოდებით, სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიებამდე საკვანძო საინფორმაციო გზავნილების მიწოდების შესაძლებლობას; საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს ეფექტური მართვის მნიშვნელობას; მიზანშეწონილი ქცევის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, ცნობიერ და არაცნობიერ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას საზოგადოებაზე.<br>**ასაბუთებს** |

საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს ეფექტური მართვის მნიშვნელობას; საკომუნიკაციო სტრატეგიისათვის საჭირო, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობას; მოლაპარაკების პროცესში გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიული და ტაქტიკური ხერხების გამოყენების საჭიროებას; საკუთარ პოზიციას და მხარეებს სთავაზობს პრობლემის გადაჭრის ეფექტიან გზებს; სოციალური პასუხისმგებლობის პროქტების განხორციელების საჭიროებას პროფესიულ საქმიანობაში.

**მონაწილეობს**

სამთავრობო, არასამთავრობო, კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების დაკვეთით კვლევის დაგეგმვასა და ჩატარებში; სხვადასხვა ორგანიზაციების იმიჯისა და რეპუტაციის გაუმჯობესებაში, პიარ ღონისძიებების, პიარ კამპანიების დაგეგმვასა და განხორციელებაში; გადაწყვეტილებათა მისაღებად სათანადო სტრატეგიისა და ტაქტიკის ჩამოყალიბებაში; სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პროცესებში; მედია საშუალებების შერჩევასა და მედია სტრატეგიის განხორციელებაში.

**გეგმავს**

